საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"დენმარკ"-ის (ს/კ416307026) დირექტორის
ბ-ნი ლუკა დიმიტრიშვილის
ელ.ფოსტა. luka.dimitrishvili@mail.ru
ტ. 597 77-97-42

№ 192
"12" 01 2021
2/CP

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ რომ ,**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "დენმარკ"**-ს **გარდაბნის რაიონში, სოფელი გამარჯვება ს/კ 81.07.14.079,** გააჩნია **გაჯის წარმოების საამქრო** (GPS კოორდინატში X - 499880.0; Y - 4607575.0)

აღნიშნული საწარმო წარმოადგენდა შპს „ბურჯი"-ს საკუთრებას, რომელზედაც 2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ბურჯის" მინერალური ნედლეულის გადამუშავებაზე (გაჯის წარმოება;გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება) გაიცა №4 (29.03.2007) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. აღნიშნული ნებართვის საფუძველზე საწარმოს წარმადობა ტოლი იყო 3 ტ/სთ, ხოლო წლიური წარმადობა 6240 ტონა 8 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 260 სამუშაო დღით.

2009 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „ბურჯზე" გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „ლოგარითმს", რომელზეც 2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შეთანხმებული იყო „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი" საწარმოს წარმადობით 3 ტ/სთ, ხოლო წლიური წარმადობა 16200 ტონა 18 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 300 სამუშაო დღით.

2016 წელს ზემოაღნიშნული ნებართვა შპს „ლოგარითმისგან" გადაეცა შპს „დენმარკს".

ქვეყანაში გაჯის მოთხოვნილებაზე გაზრთასთან დაკავშირებით, საწარმოში დაიწყო გზების ძიება საწარმოს სიმძლავრის გაზრდასთან დაკავშირებით.

ამიტომ დაიგეგმა გაზრდილიყო საწარმოს მუშაობის საათების გაზრდა, კერძოდ 8 საათიანი სამუშაო დღე გაიზარდოს 18 საათიან სამუშაო დღით და წელიწადში 260 დღიანი სამუშაო დღე გაიზარდოს 300 სამუშაო დღით, ანუ წელიწადში 5400 საათი.

ზემოთ აღნიშნული სამუშააო სააშების გაზრდისშემდეგ საწარმოს წლიური სიმძლავრე 6240 ტონიდან გაიზრდება 16200 ტონამდე.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული

საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“, ამიტომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “დენმარკ”-ის (ყოფილი შპს „ლოგარითმი“) გაჯის წარმოების საამქროს ზემოთ აღნიშნული** ცვლილებებთან დაკავშირებით (წლიური სიმძლავრის გაზრდა) წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით ლუკა დიმიტრიშვილი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;